ეროვნული
ბიბლიოთეკა

[illegible], დიდის შუქით, ჩვ საიცვლების სხვაზედა.“

# ოდიში

1991
სამშაბათი
26
მარტი
№36 (10429)
ფასი 5 კაპ.

ზუგდიდის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

# ცენტრალური საარჩევნო კომისიისაგან

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილების შესაბამისად ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დაამტკიცა საქართველოს რესპუბლიკის რეფერენდუმში წინასწარ ხმის მიცემის წესი

საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქეებს, რომლებიც შეტანილი არიან ამომრჩეველთა სიებში და რაიმე ობიექტური მიზეზის გამო 31 მარტს არ იქნებიან საქართველოში, საშუალება ეძლევათ 23 მარტიდან 31 მარტამდე ნებისმიერ დღეს 10 საათიდან 19 საათამდე შესაბამისი ტერიტორიული (საქალაქო, საოლქო) საარჩევნო კომისიის მიერ მითითებულ საარჩევნო უბანში წინასწარ მისცენ ხმა საქართველოს რესპუბლიკის რეფერენდუმში.

ამ მიზნით ყოველი ტერიტორიული (საოლქო, ტერიტორიულის უფლების მქონე საქალაქო) საარჩევნო კომისია არაუგვიანეს 23 მარტისა ადგილობრივ პრესაში აქვეყნებს იმ საარჩევნო უბნის ნომერს და მისამართს, რომელშიც შესაბამისი რაიონის (ქალაქის) ამომრჩევლები წინასწარ მისცემენ ხმას.

ამომრჩევლებმა, რომლებსაც წინასწარ სურთ ხმის მიცემა, უნდა მიმართონ იმ საარჩევნო უბნის საუბნო საარჩევნო კომისიას, რომლის ამომრჩეველთა სიაშიც არიან შეტანილი, და პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი სხვა მოწმობის წარდგენით მოითხოვონ ხმის მიცემის უფლების მოწმობა. საუბნო საარჩევნო კომისია გასცემს სათანადოდ შევსებულ ხმის მიცემის უფლების მოწმობას და გააკეთებს აღნიშვნას ამომრჩეველთა ძირითად სიაში ამ ამომრჩევლის სიიდან ამოღების შესახებ.

ხმის მიცემის უფლების მოწმობის მიღების შემდეგ ამომრჩეველმა უნდა მიმართოს იმ უბნის საუბნო საარჩევნო კომისიას, რომელშიც ეწყობა წინასწარი ხმის მიცემა მოცემული რაიონის (ქალაქის) ამომრჩევლებისათვის. ხმის მიცემის უფლების მოწმობისა და პასპორტის ან პირადობის დამადასტურებული სხვა მოწმობის საფუძველზე საუბნო საარჩევნო კომისიას ეს ამომრჩეველი შეჰყავს წინასწარ ხმის მიმცემ ამომრჩეველთა სიაში და ამ სიაში ხელმოწერის შემდეგ მას აძლევენ ერთ სარეფერენდუმო ბიულეტენს და ორ სუფთა ნებისმიერი ნიმუშის კონვერტს. ამომრჩეველი ხმის მიცემის კაბინაში ავსებს სარეფერენდუმო ბიულეტენს, დებს ამ ბიულეტენს სუფთა კონვერტში და აწებებს მას. შემდეგ ამ კონვერტს დებს მეორე სუფთა კონვერტში, ასევე აწებებს, აწერს თავის სახელს, გვარსა და მისამართს, კონვერტის უკანა გვერდზე აწერს ხელს და უშვებს მას დალუქულ ყუთში.

რეფერენდუმის დღეს აღნიშნული საუბნო საარჩევნო კომისია ხსნის დალუქულ ყუთს და კონვერტზე გაკეთებული ხელმოწერის წინასწარ ხმის მიმცემ ამომრჩეველთა სიაში გაკეთებულ ხელმოწერასთან შედარების შემდეგ ხსნის გარეთა კონვერტს. გარეთა კონვერტები გადაიყრება ხოლო შიგა სუფთა კონვერტები გაუხსნელად ჩაიყრება ამ საარჩევნო უბნის ძირითად საარჩევნო ყუთში. ხმის მიცემის დამთავრების შემდეგ, როდესაც გაიხსნება საარჩევნო ყუთი, გაიხსნება აგრეთვე მასში ჩაგდებული კონვერტები, მათში მოთავსებული სარეფერენდუმო ბიულეტენები დაემატება ბიულეტენების საერთო დასტას და მათი დათვლა მოხდება საერთო წესით. ამ საარჩევნო უბანში რეფერენდუმის შედეგების შეჯამებისას საარჩევნო უბნის ამომრჩეველთა რიცხვს დაემატება წინასწარ ხმის მიმცემ ამომრჩეველთა სიაში შეყვანილ ამომრჩეველთა რაოდენობა.

**შენიშვნა:**

1. ზემოაღნიშნული წესი ეხება მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის რეფერენდუმს და იგი არ გამოიყენება საკრებულოთა არჩევნებში.

2. საქართველოს ფარგლებს გარეთ შექმნილ საარჩევნო უბნებში ხმის მიცემა ჩატარდება მხოლოდ რეფერენდუმის დღეს— 31 მარტს. ამ საარჩევნო უბნების ამომრჩეველთა ძირითად და დამატებით სიებში შეჰყავთ ამომრჩევლები, რომლებიც ცხოვრობენ მოცემული საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე და ბოლო მუდმივი ჩაწერა ჰქონდათ საქართველოს ტერიტორიაზე, ასევე ის ამომრჩევლები, რომლებიც რეფერენდუმის დღეს საარჩევნო უბნებში გამოცხადდებიან ხმის მიცემის უფლების მოწმობით.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დამატება შეიტანა საქართველოს რესპუბლიკის საკრებულოებში პროპორციული წარმომადგენლობის სისტემით არჩევნების შეჯამების წესებში.

6, 4, 2, მუხლის პირველ აბზაცში ამოღებულ იქნეს სიტყვა „მხოლოდ“ და ამ აბზაცის ბოლოს დაემატოს —

„ხოლო თუ ხმების გადაცემის შედეგად კანდიდატს, რომელსაც ეს ხმები გადაეცა, გაუჩნდა ნამეტი, რომელიც საარჩევნო კვოტის ტოლი ან მასზე მეტია, ნამეტი იმავე კოეფიციენტით გადაეცემათ დარჩენილ კანდიდატებს შემდეგი შესაძლო არჩევანის შესაბამისად (გადაეცემა დამატებით დასტაში ბოლოს დაწყობილი ბიულეტენები)“.

[illegible stamp]

## 27 მარტი—თეატრის საერთაშორისო დღე!

# იდუმალებით სხივოსილი სამყარო

ეს დღე მსოფლიო თეატრის მოღვაწეებს ეკუთვნის. 27 მარტს ნებისმიერ ცივილიზებულ ქვეყანაში უზომო მოწიწებით აღნიშნავენ ამ კეთილ თარიღს, რომელიც სხვადასხვა ერისა და ამსხვრებლობის წარმომადგენლებს შორის სიყვარულისა და გაგების, პატივისცემისა და თანალმობის წმიდათაწმიდა ხიდებს აგებს. ამ დღეს მსოფლიოს ყველა ცივილიზებული ქალაქის თეატრში ხაზგასმული სახოებით აიწევა ფარდა და წარმოდგენილი იქნება მაყურებელთათვის ყველაზე საინტერესო და სასურველი სპექტაკლი. რამპის შუქით გაჩირაღდნებულ სცენაზე გათამაშდება ადამიანური ყოფის დრამა და ამაღლებულის მოლოდინით მოხიბლული მაყურებლების წინაშე გადმოიღვრება სულის გამწმენდი ბგერები და მუსიკა, რომელიც ასე აუცილებელია დღევანდელი პრაგმატული დროის პარადოქსებით შეპირვებული მოქალაქეებისათვის.

თეატრი ეს არის სულის სიხარული.—ქართული თეატრის ხუროთმოძღვარი კლასიკოსის კოტე მარჯანიშვილის ამ მრავლისმთქმელ მეტაფორაში ოდინდელი სიბრძნეა ჩაქსოვილი. თუ გულთამხილავი კაცის ბაგით წარმოთქმულ სენტენციას ბოლომდე ვიწამებთ, ადამიანის სიცოცხლე კომედიასა და ტრაგედიის შორის გაწოლილი დღეების უწყვეტი ჯაჭვია. და თითოეულ რგოლს სხვა ფაქტორებთან ერთად ლაზათსა და სიმტკიცეს თეატრალური ხელოვნებაც მატებს.

თეატრის საერთაშორისო დღეს ყურიანია მადლიერებით გავიხსენოთ ამ საოცარი ხელოვნების თვალშეუდგამი სიმაღლეები, რომლებსაც თავიანთი ღვთაებრივი ნიჭით აგებდნენ სცენის აღიარებული გიგანტები. მათი სახელი ლეგიონია. ისინი მარად დაუვიწყარ სახეებს, ხასიათებს ძერწავდნენ სხვადასხვა დროში, ქმნიდნენ განსხვავებული ხალხებისათვის. მაგრამ ყოველი მათგანის ხელოვნებას მაგიური ძალას სძენდა მისტერიალური სიბრძნე, ნიჭის ელვარება და სულის ღვთიური ნაპერწკალი.

ვიხსენებთ ამ საზეიმო თარიღს და ჭეშმარიტი თეატრის მოყვარულის ხსოვნაში ცოცხლდებიან; ელეონორა დუზე და სარა ბერნარი, ვერა კომისარჟევსკაია და ვერიკო ანჯაფარიძე, ჯონ გილგუდი და პოლ სკოფილდი, ვასილ კაჩალოვი და ლორენს ოლივიე, აკაკი ხორავა და მიხეილ ჩეხოვი, სერგო ზაქარიაძე და ალექსი პოპოვი, სანდრო ახმეტელი და გიორგი ტოვსტონოგოვი. ჩვენს თაყვანისცემას იმსახურებენ ჩვენივე თანამედროვენი; რობერტ სტურუა და მილტინისი, მიხეილ თუმანიშვილი და ინოკენტი სმოკტუნოვსკი. ამ უძველესი დარგის ყველა კორიფეს ვერ ჩამოთვლი, ეს შეუძლებელია.

მსოფლიო თეატრალურ საგანძურს ქართული თეატრიც მატებს თავისთავად, განუმეორებელ ხიბლს. და ამიტომაც ეს დღე მისი ზეიმიც არის. ეს არის ზეიმი ნიჭიერებისა, რომელიც ერთადერთი იერარქიაა შემოქმედებაში.

ეს არის დღესასწაული თეატრისა, რომელიც თავად გახლავთ ცხოვრება მის მშვენიერ გაელვებებში.

ჯ. თელია,

# ურთიერთთანადგომა გვიშველის

მაშინ, როცა ცივილიზაციას ვესწრაფვით და ცივილიზებული მსოფლიოს ნაწილად გახდომისაკენ მივდივართ, ადამიანი ადამიანს ხეზე აბამს და ცოცხლად წვავს. სადაა ცივილიზებული მსოფლიო? არა მგონია ასეთ სიმხეცეს პირველყოფილი ადამიანიც თუ ჩაიდენდა.

რა მოხდა ისეთი სამაჩაბლოში, რომ ქართველი ბიჭების მიმართ ასეთი საშინელება ჩაიდინეს ოსებმა? მთელი ღამე არ მძინია ამის გამგონეს და არა მარტო მე, ალბათ მთელ საქართველოს ძილი გაუკრთა მაშინ.

როგორ ჩადგეს კალაპოტში საქართველოში და მთელ კავშირში ცხოვრება? ამისათვის საკმარისი როდია, ვიძახოთ— ერთმანეთს გვერდში ამოვუდგეთო, საქმით უნდა დავამტკიცოთ ეს.

რა მოხდა, რა გვაქვს გასაყოფი, რა არის ისეთი საკითხი მშვიდობიანი გზით რომ შეუძლებელია მოგვარდეს? ლანძღვა-გინებით, მუქარით საქმე წინ ვერ წავა, მშვიდობას და კეთილ ცხოვრებას ვერ მოვიპოვებთ.

ურთიერთგაგება, საქმის კეთილად მოგვარება და არა ქიშპობა და ლანძღვა, მართალი ხარ თუ მტყუანი, მარტო ერთი მხარის ბრძოლით საქმე ვერ მოგვარდება. პირიქით, კიდევ უფრო იძაბება.

ურთიერთქიშპის დრო არ არის. ვერც საზღვარგარეთის იმედით ვიქნებით. ისინი შეიძლება მორალურად ამოგვიდგნენ მხარში, პრაქტიკულად თავიანთ ინტერესებს უფრო უფრთხილდებიან. საბჭოთა კავშირის ხალხებმა თვითონ უნდა მოაგვარონ თავიანთი საქმე. დაყოვნება არ შეიძლება.

თამარ ლურწკაია,

საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი.

# ხმა მიეცით საქართველოს დამოუკიდებლობას!

ხამი საშუალებით იმორჩილებს მტერი ყველას და ყველაფერს: ძალადობით, ცბიერებით და თვალთმაქცობით, ხამ ხერხს იყენებს იგი მიზნის მისაღწევად: ხელოვნურად შექმნილ ე. წ. ეთნოკონფლიქტებს (ძმათა შორის სისხლის ღვრას), შებარულ ინტერვენციას, ეკონომიკურ დივერსიას და საინფორმაციო ბლოკადას, სამ რამეზე ფიქრობს დღენიადაგ: ხალხის სულიერ გახრწნაზე, მოსწყდ მორჩილებასა და ურთიერთდაპირისპირებაზე, სამ რამეს ვერ იტანს იგი: პიროვნების თავისუფლებას, ერის ხრულ თვითგამორკვევასა და სახელმწიფოების თავისუფალ განვითარებას, მტერი სამ რამეზე ოცნებობს: წარსულების შენარჩუნებაზე მუქთ ქონებასა და სხვის ზედდურების ხარჯზე ბედნიერად ცხოვრებაზე, სამი რამე გამოარჩევს მტერს მოყვარესაგან: წვეთიანობა, შურიანობა და სიძულვილი. სამი განუკურნავი სენის მატარებელია იგი: ბოროტების სულიერი და მატერიალური სიღატაკის, რობოტიზმისა და მანქურთიზმისა.

მისი ხახელი სოციალისტური წარმოების წესია, თავისი ცენტრიდანული ძალებით, რომლის ტოტალურმა ზემოქმედებამ ადამიანთა ფსიქიკაზე, მათი ყოფით საქმიანობაზე გამოუსწორებელი დაღი დაასვა. ნაყოფიც სახეზეა: გამგებელნი ამა დროისანი ადამიანებს ფულის მონეტებივით ახარისხებენ და იმ ფასს ადებენ, რაც თვითონ სურთ და ყველა იძულებული ხდება კურსის და არა ჭეშმარიტების მიხედვით შეაფასონ ისინი. ანემნეზი ამ ავადმყოფობისა ხალი ეკონომიკური მექანიზმის სრული ატროფია და ინტელექტუალური პოტენციალის ნაწილობრივი ინფლაცია.

სოციალისტური ეკონომიკის ჯანმრთელობა ხაფუძვლიანად არის მორყეული, იგი დაავადებულია ავთვისებიანი სიმსივნით, რომლის ერთი დამღუპველი ზნეა იმ საარსებო წყაროების განადგურება, რითაც თავად სულდგმულობს, იკვებება, მისი გადარჩენა თუ შესაძლებელია მხოლოდ ქირურგიული ჩარევით, ძველი საშეურნეო სტრუქტურების რღვევით და მის პარალელურად სრულიად ახალი სტრუქტურების ამოქმედებით.

ე. წ. „ძმური“ საბჭოთა კავშირში მიმდინარე უკუცვლილებებმა უფრო გაგვიცამტვერა მომავლისადმი რწმენა, ვერც საკბდრო პოლიტიკამ მოგვიყვანა ალტაცებაში, ვერც კომერციული მაღაზიების ბუმმა გვაგრძნობინა შვება, ვერც საკოლმეურნეო ბაზრებში ზღვარგადაცილებულმა ფასებმა გაგვიცხროვნა იმედები, ვერც სამოქალაქო ომმა ოხეთში, ვერც კანონთა დაპირისპირებულებამ აფხაზეთში, სახეშეცვლილმა ლადად მონაგარდე მაფიამ და მისმა კლანმა მოგვცა ნუგეში და ვერც იმან, რომ ადამიანის სულიერად გახრწნის პროცესმა მიაღწია განვითარების აპოგეას, მაგრამ როგორც ნეტარი ავგუსტინე ბრძანებდა „ჭეშმარიტება შეიძლება დროებით დაიჩაგროს, მისი საბოლოო დამარცხება შეუძლებელია“. ასეთ პირობებში უნდა ვიყოთ მომთმენნი და მიმტევებელნი, თითოეულმა ჩვენთაგანმა უნდა ვაკეთოთ ჩვენი საკეთებელი საქმე, წუწუნი ვერაფერს მოგვიტანს, არაკონსტრუქციული კრიტიკა ბუმერანგივით შეიძლება უკანვე დაგვიბრუნდეს. გამოჩენილი ფრანგი ხაზოგადო მოღვაწე ფრანსუა დე ლაროშფუკო გვაფრთხილებდა: „სიკეთე კი არა, ხიამაყე გვიბიძგებს საყვედურებით ავავსოთ დანაშაულის ჩამდენი, უმეტეს შემთხვევაში გამოსასწორებლად კი არ ვასწავლით ჭკუას, არამედ იმისათვის, რომ დავარწმუნოთ, რაოდენ უცოდველნი ვართ ჩვენ“. დღევანდელი ჩვენი გუნება-განწყობილება უფრო მეტად პირველულია, ვიდრე პირველობა ბედისა.

ცენტრს, მის ჩანაფიქრს, ქართული ტრადიციული გენი უნდა დავუპირისპიროთ. დღეს დუმილი, უმოქმედობა, პესიმიზმი, მორჩილი უმრავლესობის პოზაში ყოფნა ღალატის ტოლფასია, თანაც დამღუპველი.

ქუდზე კაცი უნდა გამოვიდეთ 31 მარტს რეფერენდუმში მონაწილეობის მისაღებად. ჩვენი ხსნა მხოლოდ ხამ რამეშია; საქართველოს სრულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ დამოუკიდებლობასა და ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებაში, მხოლოდ ამ ჭეშმარიტ გზას შეუძლია ჩვენი მიყვანა ტაძრამდე.

გვახსოვდეს: არ არსებობს იმდენად უბედური შემთხვევა, საიდანაც გონიერი კაცი რაიმეს არ გამორჩეს და არც ერთი ბედნიერი შემთხვევა, უგონო კაცმა თავის საწინააღმდეგოდ არ შემოაბრუნოს. ვიყოთ გონიერნი, გამარჯვება კი უდავოდ ჩვენ დაგვრჩება.

ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.

ზ. ჯახია,

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საფინანსო საბიუჯეტო კომისიის მუდმივი წევრი, ეკონომიკური მეცნიერებათა კანდიდატი.

---

პოზიცია

# ნუ განიკითხავ...

ეს მოკლე წერილი ჩვენ დაგვაწერინა ინფორმაციამ, რომელიც გაზეთ „ოდიშში“ იყო გამოქვეყნებული და შეეხებოდა ჩვენი ქალაქის პოლიტექნიკურ ტექნიკუმში ჩატარებულ მიტინგს. ამ მიტინგის დასაწყისში საქართველოში არსებული მძიმე პოლიტიკური ვითარების გამო, მოკლე სიტყვა წარმოუთქვამს ტექნიკუმის დირექტორს ბ-ნ ვალიკო შონიას, რომელშიც მას უხსენებია საქართველოში არსებული მტრული ძალები, კრემლის აგენტები, და ძმანი მათნი, კერძოდ „მხედრიონი“. მიტინგის დასასრულს მის მონაწილეებს ერთხმად დაუგმიათ დესტრუქციული ძალების მოქმედება საქართველოში (თავისთავად იგული ხხმება ეროვნული კონგრესი) და მოუთხოვიათ, მათი რაც შეიძლება მკაცრი და რაც შეიძლება ხასწრაფო დასჯა, რაც განუმტკიცებიათ კიდეც 250 ხელმოწერით, რომელსაც რა თქმა უნდა გადააგზავნიდნენ უზენაეს საბჭოში, თავიანთი ლოიალობის დასამტკიცებლად.

ჩვენ არაფერს ვამბობთ ისეთ იურიდიულ ნორმებზე, როგორიცაა უდანაშაულობის პრეზუმფცია, რომლის მიხედვითაც ოპოზიციის მიკერება, ნებისმიერ დანაშაულში მხილება, შესაძლებელია მხოლოდ განაჩენის გამოტანის შემდეგ. რადგან ეს ნორმა მოქმედებს მხოლოდ დემოკრატიულ, სამართლებრივ ქვეყნებში და არა ტოტალიტარულ სახელმწიფოში, აქ ჩვენ საუბარი გვექნება ზნეობის ელემენტარულ ნორმებზე.

თავს ვაძლევთ უფლებას შევახსენოთ ბ-ნ ვალიკოს ერთი ჩვენი შეხვედრის შესახებ, რომელიც შედგა შარშან, როცა ეხებოდა პარტოკრატიის გაუქმებას ტექნიკუმში. მაშინ ჩვენ ქალაქში არსებული ოპოზიციის რამდენიმე წარმომადგენელმა ჩაატარეთ შეხვედრა თქვენთან და ამის შედეგად კიდევაც გაუქმდა თქვენი სტუდენტობის სრული მხარდაჭერით იქ კომკავშირი, მაგრამ ხომ გახსოვს ჩვენც და თქვენც როგორი „დიალოგის“ ფასად დაგვიჯდა ეს. თქვენ მაშინ 9 აპრილის წლისთავზე კომუნისტური პარტიის და ლენინიზმის იდეებს ემხრობოდით და ამ ერთგულებას ამტკიცებდა კიდევაც თქვენი გარემოცვა, კერძოდ კაბინეტი, სადაც კომუნისტური პარტიის ბელადების სურათები ეკიდათ, გორბაჩოვის ჩათვლით ხოლო თქვენი ტექნიკუმის დერეფანი, რომელიმე საოლქო სამხედრო კომისარიატს უფრო მოაგონებდა კაცს, ვიდრე სასწავლო დაწესებულებას, იმდენი ორდენოსანი რუსის გენერლის სურათი ეკიდათ იქ. გახსოვთ თქვენი სიტყვები, ისევ კომუნისტები თუ ამოიყვანენ ქვეყანას გასაჭირიდან, თორემ არაფორმალების იმედით იგი დაიქცევაო. მაშინ ხხვათა შორის ზვიად გამსახურდიაც „არაფორმალი“ იყო.

კი ბატონო, დავიჯეროთ თუნდაც, რომ ამ რამდენიმე თვეში იხე შეგეცვალათ მრწამსი, რომ „მრგვალი მაგიდის“ პოლიტიკური კონცეფციების თავგამოდებული მომხრე გახდით, მაგრამ თქვენ ხვითონვე ჩაიხედეთ გულში და თქვით, განა გაქვთ უფლება კრემლის აგენტები უწოდოთ იმ პირებს, რომლებიც ეროვნულ მოძრაობაში სიყმაწვილიდან ჩაებნენ, ან ჯაბა იოსელიანს უმტკიცოთ ტერორისტობა, როცა სასამართლო ჯერ არ შემდგარა.

ხოლო იმ 250-კაციან ჯგუფს გვინდა მივმართოთ კითხვით (ცხადია იქ ახალგაზრდებიც არიან) განა არ იცით, რომ თქვენი ხელმოწერებით თქვენ ხელისუფლებას აძლევთ საშუალებას, განუკითხავ რეპრესიებს მიმართოს ყველა იმ ქართველი ახალგაზრდის მიმართ, ვინც ხელისუფლებისადმი ოპოზიციურად განწყობილ ორგანიზაციებში არის გაერთიანებული და რომელთა ერთადერთი „დანაშაული“ ისაა, რომ მათი აზრი არ ემთხვევა „მრგვალი მაგიდის“ პოლიტიკურ კურსს. აბა, გაიხსენეთ უახლესი ისტორია, ცოტა დაძაბეთ გონება, ბატონებო, განა ახეთივე „აღშფოთებული მშრომელების“ სახელით არ სვამდნენ ციხეებში მერაბ კოსტავას, ზვიად გამსახურდიას, გიორგი ჭანტურიას და კიდევ ძალზე ბევრ, ქართველ დისიდენტს. ისტორიას ჩვევია განმეორება, მაგრამ ღმერთმა ნუ ქნას, იგი ბოლშევიკური სახით განმეორდეს. საქმე იმაში კი არაა, რომ ჩვენ რეპრესიების გვეშინია, ჩვენ გვეშინია არ გამართლდეს სიტყვები, რომ „... ჩვენი ერი სერიოზულად არის ავად“.

დ. წურწუმია,

ზ. გეჟაია,

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრები.

---

# ვინ უნდა აღადგინოს ილიას ძეგლი?...

როდესაც ზუგდიდში ანტიქართველების ძეგლების შემდეგ ბოლოსდაბოლოს საქართველოს დიდი მოამაგის ილია ჭავჭავაძის ძეგლიც დაიდგა, ეს ყველა ზუგდიდელისათვის მნიშვნელოვან მოვლენად იქცა. იმ დღიდან ეს ადგილიც წმინდა ადგილად გამოცხადდა. მაგრამ დღეს ყოველი ზუგდიდელისათვის რაოდენ მტკივნეულია ის, რომ აღნიშნულ ძეგლს მხარი ჩამოეგლიჯა და უკვე რამდენიმე თვეა მტრის გასახარად განმკითხავი არავინ აღმოჩნდა. სრულიად კანონზომიერია მოსახლეობის აღშფოთება ამ ფაქტის გამო.

ძვირფასო ზუგდიდელებო, გახსოვთ ალბათ 1989 წლის 31 დეკემბერს თუ როგორ შემოდობეს ილიას ძეგლი მაშინდელმა ხელისუფლებმა, (მაშინ კომპარტიას ეპყრა სადავეები) აქაოდა ახალი წლის ღამე საზეიმოდ არ აღნიშნონ „არაფორმალებმა“ და თავი არ მოეყარათ მთელ საქართველოში. იმ საღამოს დიდი წინააღმდეგობა იყო ხელისუფლებასა და „არაფორმალებს“ შორის (ყველაფერი ეს მაშინდელი ხელისუფლების ხინდისზე იყოს, ზოგიერთი მათგანი დღეს დაწინაურებულიც კია). მაგრამ დავანებოთ თავი წარსულს, ვილაპარაკოთ ძეგლის დღევანდელ მდგომარეობაზე და მის შემდგომ ბედზე. მე ისეთ [illegible] ვაჟუთვში, რომელსაც ხასწაულებისა ნაკლებად სჯერა, მაგრამ დღეს რომ ილია გაცოცხლდეს და ზუგდიდში თავისი ძეგლი იხილოს, ასე საცოდავად და უპატრონოდ მიტოვებული, ბერბიჭაშვილს დიდი ჯაფა არ დასჭირდებოდა, ილია თვითონ იკრავდა შუბლში ტყვიას და ამაზე აღშფოთებული აკაკი ხელმეორედ წარმოთქვამდა: „მართლაცდა ფურთხის ღირსი ხარ შენ, საქართველოო“..

ყოფილ ხელისუფლებას, ე. ი. კომპარტიას დღეს არავითარი ძალაუფლება არ გააჩნია საბედნიეროდ და რა თქმა უნდა, თავს არ შეიწუხებს ძეგლის აღდგენაზე, მაგრამ დღევანდელ ხელისუფლებას, რომელიც საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობის მიერ არის არჩეული, არ ეპატიება ასეთი უყურადღებობა, ქართველი ერის განმანათლებლის, დიდი მამულიშვილის, წმინდა ილია მართლის ძეგლის მიმართ.

ძვირფასო მეგობრებო, რამდენი ამაღლებული აქცია ჩატარებულა ამ ძეგლთან: გვიგლოვია საქართველოს დამოუკიდებლობისათვის დაღუპული დები და ძმები, მრავალგზის ჩაგვიტარებია საპროტესტო, ანტიიმპერიული მიტინგები, ყოფილა გულწრფელი ცრემლები, გვიხილავს მომავლის იმედით გაბრწყინებული სახეები.., დღეს კი რაო, ყველაფერი მორჩა? ნუთუ ფუნქცია დაკარგა ამ წმინდა ადგილმა? არა და არა! ამაღლებული აქციები ამ წმინდა ძეგლთან მომავალშიც კვლავ ბევრჯერ გვექნება ჩასატარებელი!..

* ლა კიდევ, საქართველოს ამაოჩრებლის ვ. ი. ლენინის ქვარცხლბეკი სასწრაფოდ ახადებია თორემ უძეგლოდ დარჩენილი ქვარცხლბეკი ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, გეგონება, ეს-ეს არის მასზე ვიღაც წამოხკუპდებაო.

დასანგრევი დროზე უნდა დაინგრეს, ხოლო აღსადგენი მითუფრო დროზე უნდა აღდგეს!

რონ თირქია,

ზუგდიდის შ. დადიანის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის დასის მმართველი.

ოდიში

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ვინაიდან ჩვენი ხომალდი საჭურველი ხორციელი კი არ არის, არამედ —ღმრთის მიერ ძლიერმოსილი ყოველგვარი სიმაგრის შესამუსრავად (2 კორინთელთა მიმართ, 10,4).

„ვინაიდან ჩვენ ვიბრძვით არა სისხლისა და ხორცის, არამედ მთავრობათა და ხელმწიფებათა, ამ ბნელი საწუთრის ქვეყნის მპყრობელთა და ბოროტების ზეციურ სულთა წინააღმდეგ.

ამიტომაც აღიმართეთ ღმერთის საჭურველი, რათა უკეთურ დღეს შეგეძლოთ წინააღდგომა, და ყოვლის მძლეველნი, კვლავ მტკიცედ იდგეთ.

მაშ, აღიმართეთ, შეირტყით წელზე ჭეშმარიტება და შეიმოსეთ სიმართლის აბჯრით.

და ჩაიცვით ფეხთ მზადყოფნა მშვიდობის სახარების საქადაგებლად.

უწინარეს ყოვლისა კი იპყარით რწმენის ფარი, რომლითაც შეძლებთ უკეთურის ყველა ცეცხლოვანი ისრის დაშრეტას.

და აიღეთ ხსნის ჩაჩქანი და სულის მახვილი, რომელიც არის სიტყვა ღმრთისა" (ეფესელთა მიმართ 6,11-17).

ჩავიხედოთ გულებში და ვალიაროთ, თუ რა სახიფათოდ შორს ვართ თითოეული ჩვენთაგანი ზემოთ მოყვანილი რწმენის ძალისხვან, რომლის გარეშეც სატანის ხრიკების წინააღმდეგ ისევე უძლური ვართ, როგორც მუცებმოღერილი მებრძოლი მტრის ჯავშნოსანი მანქანის წინააღმდეგ. ნურც იმის იმედი გვექნება, რომ თუკი მიტინგებზე, გაზეთებში, ტელევიზორიდან განუწყვეტლივ გავიმეორებთ ლოზუნგად ქცეულ სიტყვებს: „ღმერთი არს ჩვენთან"— ღმერთი მართლა იქნება ჩვენთან! ღმერთი ადამიანი, —მეფე არ არის, რომ მისი გული მლიქვნელობით და მისადმი თაყვანისცემის გარეგნული ფორმებით მოვიგოთ, ვინაიდან „ღმერთი ისე არ ხედავს, როგორც კაცი ხედავს, ვინაიდან კაცი მხოლოდ იმას ხედავს, რაც სახეში ხვდება, ხოლო უფალი გულს ხედავს (1 მეფეთა 16-71). „ღმერთი თქვენთან არის, როცა თქვენ ხართ მასთან, თუ ძებნას დაუწ-

დასასრული, დასაწყისი იხ. გაზეთი „ოდიში" №35.

# განწმენდილები შევეგებოთ უფლის აღდგომის დღესასწაულს

უებთ, აპოვით, თუ თქვენ მიატოვებთ, ისიც მიგატოვებთ" (2 ნეშტთა, 15-1).

ბიბლია იმის მაგალითსაც გვაძლევს. თუ რა უნდა გააკეთოს ადამიანმა და მთლიანად ხალხმა, რომ უფლის წყალობა და მფარველობა დაუბრუნდეს: „მიყვარს ჩემი მოყვარულნი და მიპოვნიან ჩემი მძებნელნი" (იგავნი 8,17). „აღთქმა დადეს, რათა ეძიათ უფალი, მამა-პაპათა ღმერთი, მთელი გულითა და სულით.

ეფიცებოდნენ უფალს დიდის ხმითა და ღაღადით, საყვირებითა და ბუკებით; ხარობდა მთელი იუდა ამ ფიცის გამო, რადგან მთელი გულით შეჰფიცეს, მთელი გულმოდგინებით ეძებდნენ მას და მან აპოვნინა თავი. უბოძა უფალმა მათ სიმშვიდე ირგვლივ".

მაშ, თუ გვინდა, რომ ჩვენს გულებში დაემკვიდროს უფალი, მოვიძროთ ქრისტიანის ყალბი ნიღაბი, დროულად შევეშვათ ამ ქრისტიანობანას უაზრო და სულისათვის საშიშ თამაშს; „გულები დავიგლიჯოთ და არა სამოსელი" (იოველი 2. 18).

„ვეძიოთ სიმართლე, ვეძიოთ თვინიერება, ვინძლო დავიმალოთ უფლის რისხვის დღეს" (სოფონია 2,3) „გავჩხრიკოთ ჩვენი საქციელი, გავარკვიოთ და უფალს დავუბრუნდეთ; ხელებით აღვმართოთ ჩვენი გულები ცაში უფლისაკენ". (გოდება იერემიასი 3,40).

და კიდევ: შევსთხოვოთ უფალს, რათა მან გაანათლოს ჩვენი გულები უფლის შეცნობის ნათელით და მოგვცეს „სიბრძნისა და გამოცხადების სული მის შესაცნობად, ვინაიდან „ვისაც ჰგონია, რომ რაიმე იცის, ჯერ კიდევ არაფერი ისე არ იცის, როგორც უნდა იცოდეს", როგორც ამას პავლე მოციქული ამბობს.

ყველაზე ყურადსაღები დღეს ჩვენი მორწმუნე მრევლისათვის და საერთოდ მთელი ჩვენი ხალხისათვის ის არის, რომ ჩვენ არ ვიცით, ყოველ შემთხვევაში ძალზე ზედაპირულად გვაქვს გაცნობიერებული ქრისტეს ჭეშმარიტი მისია პირადად ჩვენი ცხოვრებისათვის. კარგია ერის გადარჩენაზე რომ ამდენს ვზრუნავთ, მაგრამ ისე არაფერმა არ უნდა გაგვიტაცოს, რომ თითოეული ჩვენთაგანის მიმართ ქრისტეს უმთავრეს მიზანს ჩამოვშორდეთ.

აბა, რამდენ ჩვენთაგანს შეუძლია გულით ატაროს, გულში დაიტიოს იოანე მახარობლის მართლაც რომ ჭეშმარიტი ხარების სიტყვები:

„ვინაიდან ისე შეიყვარა ღმერთმა ქვეყანა, რომ მისცა ძე თვისი მხოლოდშობილი, რათა ყოველი, ვისაც სწამს იგი, კი არ წარწყმდეს, არამედ ჰქონდეს საუკუნო სიცოცხლე (იოანე 3,16).

ისე, რომ კეთილია ჩვენი მიზანი და სურვილი ქრისტეს რწმენას რომ ვებლაუჭებით, რათა ამან ჩვენში ერთიანობა წარმოშვას, უთანხმოებანი, შუღლი და დანაშაულობანი შეამციროს და ეროვნული დამოუკიდებლობის საქმეც წარმატებით დაგვირგვინდეს. მაგრამ ყველაზე მთავარი არ უნდა დაგვავიწყდეს მიწიერი საზრუნავით მოცულებს, რომ „უფლის სამეფო ამ ქვეყნიური არ არის", და რომ „თუ მხოლოდ ამ ცხოვრებაში ვართ ქრისტეს სასოებით, კაცთა შორის უსაწყალობლესნი ვართ" (1 კორინთელთა 15,19). და ვაი თუ ბევრ ჩვენთაგანზე ახდეს მისდა საშინელ მხჯავრად უფლის შეგონება: „რას გამორჩება კაცი თუ მოიგებს მთელს ქვეყანას და სულს კი წააგებს, ანდა რას მისცემს კაცი თავისი სულის სანაცვლოდ?

რადგან მოვა ძე კაცისა მამის თვისის დიდებითა და თავის ანგელოზთა თანხლებით, და მისი საქმისამებრ მიაგებს თითოეულს" (იოანე 16,26). ღმერთმა გვაშოროს, რომ ჩვენივე უმეცრებისა თუ მცონარების გამო მოვაკლდეთ ღვთის უმთავრეს მადლს —მკვდრეთით აღდგომას მარადიული გადარჩენისათვის, ვინაიდან, როგორც პავლე მოციქული ამბობს: „რა სარგებელია ჩვენთვის, თუ კი მკვდრები არ აღდგებიან? ვჭამოთ და ვსვათ, ვინაიდან ხვალ მოვკვდებით" (1 კორინთელთა 15,32). პავლე მოციქულმა აღდგომის საკითხში ჩვენსავით დაეჭვებულ მორწმუნეებს უთხრა ეს სიტყვები და თან ამ ეჭვის გამო ამხილა კიდეც ისინი შემდეგი სიტყვებით: „ნუ შეცდებით: უკეთური საუბრები ხრწნიან კეთილ ზნე-ჩვეულებებს.

იფხიზლეთ მართებულად და ნუ სცოდავთ, რადგან ზოგიერთმა თქვენთაგანმა არც იცის ღმერთი; თქვენდა სამარცხვინოდ ვამბობ ამას" (1 კორინთელთა 15,34).

ჩვენდა სამარცხვინოდაც, პავლე მოციქულო, ვინაიდან ისე აგვერია გულგონება, რომ დაწყებული პარლამენტის მუშაობის კურთხევით და დამთავრებული საფეხბურთო ჩემპიონატისა თუ ახალი შეძენილი მანქანის კურთხევით ყველგან და ყველაფერში მოვუხმენთ უფლის სახელს, ხოლო მკვდართა აღდგომაზე და ზეციურ სასუფეველზე შეხსენებისას, რომლისთვისაც მაცხოვარი ჯვარს ეცვა—უმრავლესობას გვეცინება და „ზაბტისტებად" გვსათლავთ ყველა უფლის ამ აღთქმის მორწმუნეს, მაშინ, როდესაც ამ აღდგომის იმედითა და სიხარულით ათასობით ქართველი წმიდანი ეწამა ურჯულოთა ხელით!

დიახ, მაცხოვარმა განუზომლად უფრო დიდი თავისუფლება და ნეტარება მოგვიტანა მის მორწმუნეებს, ვიდრე თუნდაც ნაშიშობლის დამოუკიდებლობაა. ქრისტესადმი ჭეშმარიტი რწმენის მეშვეობით გვათავისუფლებს ადამიდან გადმოყოლილი ცოდვის სიმძიმისაგან, რომელიც გვაშორებდა ღმერთს და რომლის გამოც „მთელი ცხოვრება სიკვდილის შიშს ვყავდით დამონებული" (ებრაელთა 2,15).

და გვპირდება „ახალი ცა და ახალი მიწა, რომლებზედაც მკვიდრობს სიმართლე" (2 პეტრე 3,13).

აი, გადარჩენილთათვის გამზადებული მარადიული სამშობლო, რომელიც სულში იხილა იოანე მახარობელმა: „აჰა, კარავი ღმრთისა კაცთა თანა, და დაემკვიდრება მათთან, და ისინი იქნებიან მისი ხალხი, და თვით ღმერთი იქნება მათთან;

და მოსწმენდს ღმერთი მათ თვალებზე ყოველგვარ ცრემლს, და აღარ იქნება სიკვდილი: და აღარც გლოვა, აღარც ტირილი და აღარც ტანჯვა აღარ იქნება, რადგანაც გარდახდა ყოველივე უწინდელი" (გამოცხადება 21, 3—4).

ღმერთმან მოგვცეს თითოეულ ჩვენთაგანს „გონება შევიცნოთ ჭეშმარიტი და ვიყოთ მის ჭეშმარიტ ძეში, იესო ქრისტეში" (1 იოანე 5,20), რათა ვეღირსოთ მის მარადიულ სიყვარულის სასუფეველში დავანებას.

„ვინაიდან ყველა, ვინც უხმობს უფლის სახელს ცხონდება. მაგრამ როგორ უხმონ მას, ვისაც არ არწმუნეს? ან როგორ ირწმუნონ იგი, ვისაც არ სმენიათ? ანდა როგორ იხმინონ უქადაგებლად? ან როგორ იქადაგონ, თუ კი არ წარგზავნებიან?..

ამრიგად რწმენა-სმენისგან, სმენა ხმისა ღმრთის სიტყვისაგან" (რომაელთა 10 თავი).

მაშ, მთელი გულით „ვთხოვოთ სამკალის უფალს, რათა მომკალნი მოავლინოს თავის სამკალში, ვინაიდან სამკალი ბევრია, მაგრამ ცოტანი არიან მომკალნი", საქართველოში პირველ საუკუნეში ქრისტეს სახარება უქადაგნია ანდრია პირველწოდებულს და სიმონ კანანელს—ქრისტეს მოწაფეებს!

შევთხოვოთ უფალს, რომ დღევანდელ დღეს მათივე მსგავსად სული წმიდით აღსავსე ადამიანები მოგვივლინოს, რათა ჩვენზე აღსრულდეს წმიდა წერილის სიტყვები: „სიბნელეში მყოფმა ხალხმა იხილა დიდი სინათლე"—და ჭეშმარიტად სულითა და ხორცით განწმედილები შევეგებოთ ყოველ წელს მაცხოვრის ბრწყინვალე აღდგომის დღესასწაულს, საბოლოოდ კი უფლის მეორედ მოსვლას, როგორც მკვდრეთით აღმდგარი ლაზარე, რათა მარადის უფალთან ვიქნეთ!

ამინ!

ზურაბ ოთხოზორია,
ზუგდიდის ეროვნული სკოლის ღვთისმეტყველების მასწავლებელი.

ვაზიაროთ ადამიანები სულიერ ფასეულობებს!

ცეკვა ქართველი კაცის თანმდევი ხიბლი და სიხარული იყო მუდამ. ამით იგი ერთგვარ სადინარს უძებნიდა თავის სევდას თუ რწმენას, გახელებულ ვნებას. ფაქტიურად ეს იყო ცხოვრებისეული წინააღმდეგობის, ხიფათის დაჯაბნვის თავისებური ფორმა. ამდენად ქართული ცეკვა, როგორც ქართველი ხალხის კულტურული თავისთავადობის საოცარი ფენომენი, მუდმივი ყურადღებისა და ზრუნვის საგნად უნდა ვაქციოთ.

# ქართული ცეკვის ლაზარობა ვიწამოთ

ეს მოთხოვნა ლეიტმოტივად გასდევდა ამ დღეებში ზუგდიდში გამართულ საქართველოს ქორეოგრაფიული ხელოვნების მოღვაწეთა კავშირის ზუგდიდის რეგიონალური განყოფილების დამფუძნებელ კონფერენციას.

ზუგდიდის რეგიონის ქორეოგრაფიული საზოგადოების— მიერ გაწეული მუშაობის ანალიზით წარსდგა ქორეოგრაფთა რესპუბლიკური კავშირის წარმომადგენელი, ჟურნალისტი დავით წულუკიძე. მის გამოსვლაში დაუფარავად გამოიკვეთა ის ნაკლოვანი მხარეები, რომელთა აღმოფხვრით საფუძველი უნდა შექმნას მომავალში გასაშლელ საქმიანობას.

ზუგდიდი არ არის განებივრებული სპორტული ბაზებით,— აღინიშნა კრებაზე. მოზარდებს სწყურიათ ვარჯიში, მოძრაობა. და ასეთ პირობებში ქორეოგრაფიული სტუდიები აკეთებენ ვეებერთელა საქმეს. ჯერ ერთი, ცეკვის ჯადოსნურ სამყაროში აბიტიალებენ ბავშვებს. ხოლო რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, მოზარდის სხეულისკენ გზას ულობავენ სიზარმაცის მიკრობს, ალკოჰოლისა თუ ჰაშიშის ღამლუპველ ხანგს.

ქართული ქორეოგრაფიის სავითმყოფადი სახის შემდგომი სრულყოფის, ამ პროცესთან დაკავშირებული ნაირგვარი სიძნელეების დაძლევის გზებზე ისაუბრეს საქართველოს ქორეოგრაფიული ხელოვნების მოღვაწეთა კავშირის თავმჯდომარემ, საქართველოს სახალხო არტისტმა თენგიზ სუხიშვილმა, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატმა ჯემალ როგავამ, ზუგდიდის გაზეთ „ოდიშის" რედაქტორის მოადგილემ ზურაბ ცხონდიამ, ზუგდიდის მუსიკალური საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარემ თ. მოსიამ.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს სახალხო არტისტი გიორგი ჯიბლაძე, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გივი ოდიკაძე, რეგიონის წამყვანი ქორეოგრაფები.

დღევანდელ ქორეოგრაფიას, მის სახეს, და სტილისტიკას აქვს თავისი წინაისტორია,— აღინიშნა გამოსვლებში. განვითარების გენეზისი მიდის შორეულ ფესვებთან, ბერიკაობისა და ყეენობის მისტერიალურ საწყისებთან. სწორედ ამ ძირებზე დაყრდნობით ანვითარებენ და ფრთებს აშლევინებდნენ ამ უნიკალურ დარგს ჩვენი დროის ისეთი მოღვაწენი, ისეთი დიდი სახელები, როგორებიც იყვნენ ვახტანგ ჭაბუკიანი, დავით ჯავრიშვილი, ჯანო ბაგრატიონი, ილიკო სუხიშვილი, ნინო რამიშვილი და სხვები. მათ ტრადიციებს ამჟამად აგრძელებენ საშუალო და ახალგაზრდა ასაკის ქორეოგრაფები. ეს ის ადამიანები არიან, რომლებიც ცეკვის სიყვარულს უნერგავენ ახალ თაობას. ამით აღვივებენ მათში ვაჟკაცობას, სიქველეს, მამულისათვის თავდადების ვანცდას. ამიტომაც სჭირდებათ მათ მაქსიმალური მხარდაჭერა.

სწორედ ქორეოგრაფიისათვის თავდადებული პიროვნებები და მათი თანამდგომი მამულიშვილები იქნენ არჩეული ქორეოგრაფიული ხელოვნების მოღვაწეთა კავშირის ზუგდიდის რეგიონალური საზოგადოების გამგეობაში, რომლის თავმჯდომარედ ერთხმად იქნა არჩეული თიმაზ შალვას ძე მოსია.

ხელოვნების ამ ულამაზესი სახეობის მნიშვნელობის გათავისებით, მისი შემდგომი სრულყოფისათვის მეცადინეობით რეალურად უნდა შეესხას ხორცი ამ წმიდათაწმიდა საქმეს, რასაც ეროვნული ქორეოგრაფიის კეთილდღეობა ჰქვია.

ამის ობიექტური წინამძღვრები კი ნამდვილად სახეზეა. ეს ერთხელ კიდევ ცხადყო ღონისძიების ბოლოს გამართულმა მხატვრულმა განყოფილებამ, რომელშიაც მონაწილეობდნენ ზუგდიდის რეგიონის პროფესიონალური თუ თვითმოქმედი კოლექტივები.

ზ. ცხონდია

# ავადმყოფისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულებით

**ეთიკა და მორალი**

დღეს საქართველოს განსაკუთრებულად უჭირს. ჩვენი თაობის თვალწინ წყდება მისი აწმყო და მომავალი. ამიტომაც თითოეული ჩვენთაგანი დიდ პასუხისმგებლობას გრძნობს მრავალჭირნახული სამშობლოს წინაშე, ყველა ცდილობს თავის უშუალო მოვალეობასთან ერთად, საზოგადო, პატრიოტული საქმე აკეთოს, რათა თავისი წვლილი შეიტანოს ერის დიადი მიზნის განხორციელებაში.

ექიმის პროფესია ერთ-ერთი საპატიო პროფესიათაგანია, და რაც არ უნდა დიდი საქმით ვიყოთ დაკავებული, არასოდეს გვეპატიება ავადმყოფისადმი უყურადღებო მოპყრობა, მოვალეობისადმი წაყრუება ჭერ კიდევ ხაუკუნეების წინ, მედიცინის მამად წოდებული ჰიპოკრატეს ფიცში ნათქვამია: რომ ექიმი უნდა იყოს არა მარტო თავისი საქმის დიდი მცოდნე, არამედ უპირველეს ყოვლისა იგი ავადმყოფის სულიერი მამაა.

ექიმის წინაშე მისი პრაქტიკული მოღვაწეობის პერიოდში ისმება ეთიკური ხასიათის არაერთი საკითხი. ეს ეხება როგორც ექიმის დამოკიდებულებას ავადმყოფისადმი, ასევე ექიმებს შორის ურთიერთდამოკიდებულებას.

ავადმყოფი ექიმს ანდობს ყველაზე ძვირფასს, რაც ადამიანს გააჩნია—თავის ჯანმრთელობას და არაიშვიათად სიცოცხლესაც კი. მას უნდა სჯეროდეს ექიმის, ექიმის ავტორიტეტი კი განისაზღვრება მაღალი პროფესიული ცოდნით, კეთილსინდისიერი მუშაობითა და ავადმყოფისადმი ჰუმანური დამოკიდებულებით.

მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამოცემულ ი. კასირსკის წიგნში „ექიმების შესახებ" არის ერთი საგულისხმო დებულება: „პრობლემა —ავადმყოფი და ექიმი მოგონილი არ არის, ავადმყოფისადმი ექიმის დამოკიდებულებაზე წერენ წიგნებსა და სტატიებს, ექიმსა და საერთოდ მედიცინის მიმართ ავადმყოფის ვალდებულებაზე კი თითქმის არაფერს". ეს დამოკიდებულება ორმხრივი პროცესია, ავადმყოფი ხომ მოქალაქეა, მასაც ხომ აკისრია რაღაც ვალდებულებები და აქვს ქცევის ნორმები.

ჩვენს დროში უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ეთიკის იმ ნორმებსაც, რომლებიც ეხება ექიმებს შორის პირად ურთიერთობას. კერძოდ, ექიმი სამართლიანად უნდა ექცეოდეს თავის კოლეგებს, არ შეურაცხყოფდეს მათ პიროვნებას, საჭირო შემთხვევაში რჩევისათვის უნდა მიმართავდეს უფრო მცოდნე და გამოცდილ სპეციალისტს. ექიმთა შორის ინდივიდუალური ურთიერთობა საექიმო მოღვაწეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მომენტს წარმოადგენს. არანაკლებ მნიშვნელოვანია ექიმთა ეთიკაში სინდისის პრობლემა. რაც უფრო კეთილად, ზნეობრივად იქცევა ადამიანი, მით უფრო მშვიდია მისი სინდისი. დიდი ილია ამბობდა: „ჩემი მსაჯული ჩემი ტვინია, და ის პატარა ღმერთი, რომელსაც სინდისს ეძახიან".

დე, მედიცინის მუშაკთა ცხოვრება და შემოქმედება სიკეთის, თავდადებული შრომის, ხალხისადმი სიყვარულის და უანგარო სამსახურის მისაბაძი მაგალითი ყოფილიყოს!

**თ. უზარი,**
ზუგდიდის რესპუბლიკური საავადმყოფოს თერაპიული განყოფილების გამგე.

# ეს ბოროტება

ზუგდიდის საქალაქო ... ბაზრის წინამდებარე ... ზე მდგარი ბადრის ხეები ზეზეურად ხმებიან. საქმე ის არის, რომ ამ „საქმეში" დიდი წვლილი მიუძღვით ზოგიერთ ვაიმოქალაქეებს, რომლებიც ხეზე ლურსმნებით აკიდებენ სხვადასხვა შინაარსის განცხადებებს. აღნიშნული ფაქტის თაობაზე ორიოდე წლის წინ გაზეთ „მებრძოლის" ერთ-ერთ ნომერში გამოქვეყნდა ჩემი კორესპონდენცია, მაგრამ ყურიც კი არავის შეუბერტყია.

ცივილიზებულ ქვეყანაში ასეთი რამ არ ხდება. არადა, ბევრ ჩვენგანს ბუნების ქომაგად მოაქვს თავი. სახლ-კარის გაყიდვის მსურველთა განცხადებებზე, რომელიც თუნუქის ნაჭრებითაა ხეებზე მილურსმული, წისამართებია ნ ჩვენები. ხომ არ დადგა დრო, ამ ვანდალური საქციელისათვის მოეკითხოთ, გარკვეული თანხით დავაჯარიმოთ ის მოქალაქენი, ვინც მითითებულ მისამართზე ცხოვრობენ?

**ს. მესხია,**
პენსიონერი პედაგოგი.

---

სოფიკო მეკუას ვულოცავ დაბადების დღეს, ვუსურვებ ბედნიერებას, ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს.

ზ. ზ.

---

## კოოპერატიული ავტოსკოლა „მესაჟე"

კოოპერატიული ავტოსკოლა „მესაჟე" იღებს მსურველებს, რომელთაც სურთ დაეუფლონ მსუბუქი ავტომანქანის მართვას. თეორიული მეცადინეობა მოეწყობა, როგორც დღის, ასევე საღამოს საათებში. მეცადინეობის ხანგრძლივობა 1,5 თვეა.

პრაქტიკული სწავლება მოეწყობა მსმენელთათვის სასურველ დროს, ამასთანავე, პრაქტიკული სწავლების დროს მძღოლ-ინსტრუქტორი მსმენელს მიაკითხავს მის მიერ მითითებულ მისამართზე (ბინაზე ან სამსახურში).

თქვენ მოგემსახურებათ მაღალკვალიფიცირებული პედაგოგები და მძღოლ-ინსტრუქტორები ახსუბუქი მარკის ავტომობილებით.

ავტოსკოლაში მიიღებიან ქ. ზუგდიდის, ზუგდიდის რაიონის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს, მესტიის რაიონების მცხოვრებლები.

ავტოსკოლაში შესვლის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ სამედიცინო ცნობა („ფსიქო") და სამი ცალი სურათი 3X4.

საბუთები მიიღება 10 საათიდან 18 საათამდე, შაბათ-კვირის გარდა ოველ დღეს

სწავლის ქირის ...და შეიძლება, როგორც ნაღდ ანგარიშზე ასევე გადარიცხვით.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ შემდეგ მისამართით: ქ. ზუგდიდი, სოხუმის ქ. №2, პოლიტექნიკუმის შენობა, პირველი სართული, ოთახი 64.

**ავტოსკოლა „მესაჟე".**

---

## კერძო მანქანის მფლობელთა საყურადღებოდ!

სრულიად საქართველოს ღვთისშვილთა კავშირი (ინვალიდთა ასოციაცია) ზუგდიდის რეგიონალური ორგანიზაცია, მოსახლეობის მომსახურების მიზნით სამუშაოდ იწვევს კერძო მანქანის მფლობელებს, თვიური შესატანი შეადგენს 60 (სამოც) მანეთს, გათვალისწინებულია საბურავებითა და საწვავით მომარაგება.

მსურველებს შეუძლიათ მიაკითხონ შემდეგ მისამართზე: ქალაქ ზუგდიდი, გორკის ქ. №23, სრულიად საქართველოს ღვთისშვილთა კავშირის (ინვალიდთა ასოციაცია) ზუგდიდის რეგიონალური ორგანიზაცია, ტელეფონი 2-67-97.

---

მეუღლე ბაბუცა, შვილები: რევაზი, ვაჟა. ზურაბი. ნანული არღვლიანები, სიძე მერაბ ჭითანავა, რძლები ნატაშა არღვლიანი, ლალი რაფავა, ნონა ქობალია, სიძე ისლამ მიქიანი, და პეგა, ძმები ინდიკო, მუშნი არღვლიანები, ცოლისდები: გუგუ, ლუშია, ცოლისძმები: წირო, გურამი ფირცხელავები, შვილიშვილები: მაკა, პაატა, კარინა არღვლიანები, კობა. ნანა ჭითანავები, ძმისშვილები, დისშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

**ბიძინა ნესტორის ძე არღვლიანის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 27, 28, 29 მარტს. დაკრძალვა 30 მარტს. გამოსვენება ქ. ზუგდიდი, კობახიძის ქ. 10.

---

დები შურა. ტატიანა, ნორა, ძმები დომენტი, პალადი ნაჭყებიები შვილებითა და შვილიშვილებით იუწყებიან

**ფასო თარას ასულ ნაჭყებია - ზარქუას**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 30 მარტს წალენჯიხაში. გამოსვენება სოსელიას ქ. 33-დან (№1 ჩაის ფაბრიკის ტერიტორია).

---

საქართველოს მწერალთა კავშირის ზუგდიდის რეგიონალური განყოფილება და ალმანახ „ენგურის" რედაქცია თანაუგრძნობენ მწერლებს გენო, რენე და ზაურ კალანდიებს მამის

**ვლადიმერ კალანდიას**

გარდაცვალების გამო.

---

დედა ძაბულა, მამა ჭიჭიკო, მეუღლე ნანი. შვილები: ნინო, ნიკა, დები: ლალი, ასმათი, ბელა იუწყებიან

**გია ჭიჭიკოს ძე წულაიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 27, 28, 29 მარტს. დაკრძალვა 30 მარტს. გამოსვენება ქ. ზუგდიდი, კობახიძის მეორე შესახვევი №27.

---

შვილი ველოდი, ძმა იროდი მაქაცარია, და ქსენია დარასელია, რძლები: მარინა ფიფია, ვენერა ასკილეისკირი, ნიფადორა პერტაია, მული სონია შეიაია, შვილიშვილები ბესიკი, ირინა შეიაიები, ძმისშვილები: რამინი, ფრიდონი, მართონი, მაღონა, ... ნა, დინარი, ლულიკო, ლუბინა, მევარიდ მაქაცარიები, დისშვილები: დაზმერი, დოდო ჩილაჩავები, სულიკო, არჩიკო, ლუსიანე, ნოდარ, ზაურ ქარჩავები, მანია, ლადიკო ყუფუნიები. მულიშვილები: ქუჩუჩი, ბაბუცა. შაქრო. გივი. ბონდო, ჯუმბერ ქარჩავები, კაკო შეკიდუა. მაზლიშვილები: ბაჩუა. თალიკო, გული, რუდა შეიაიები, გიგლა ფუტკარაძე, ახლო ნათესავები იუწყებიან

**ჟიჟინო თედორეს ასულ დარასელია-შეიაიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 27. 28. 29 მარტს. დაკრძალვა 30 მარტს სოფ. ინგირში, გამოსვენება ტაბიძის 12.

---

დედა ეთერი, მამა მილორდი, მეუღლე თამარი, შვილები: არჩილი, რუსუდანი, დები: რუსუდანი, ანიელა, ძმა გელა. სიძე მერაბი შონია, დისშვილი მერაბი, სიდედრი ნაღია, სიმამრი ომარი, ცოლისდა თინიკო ხარატიშვილები. ბიძია ლუდა, ბიცოლა ზოია, ბიძაშვილები: ჯემალ, ელგუჯა აბსანძეები, დომენტი, ტრიფონი, ალიკო ჩიქობავები, ლილია გაბელავა, ოთარ შეეია, ნაპო, გულადი გაბელიები, ინდიკო მამალაშვილი, ნოდარ ჯინჯოლავა, გივი, ნოდარ, ანიკო მელაშვილები, თემურ მელაძე, ზურაბი, თინგიზო ხუფაცარიები, ავთო პაპავა, ჯემალ ხაბეიშვილი, რეზო შონია. ბარუხი სალია. რეზო კალანდია, იგორ ცხადაია, ზაალ ოთხოზორია, დემურ გაბრავა და ახლო ნათესავები ოჯახებით იუწყებიან

**მერაბ მილორდის ძე გაბელიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 26, 27, 28, 29 მარტს დაკრძალვა 30 მარტს. გამოსვენება 17 საათზე ქ. ზუგდიდი, საბჭოს ქუჩა 141-დან.

---

მეუღლე იროდი. შვილები: ინოლა, ნუგზარი, ანატოლი, დავითი. შვილიშვილები: ნატო. კახა ქვარაიები. მაია, ლელა. ანა, ხვიჩა, ნუგზარ ფაცაციები, ძმისშვილი ხუნტუ ლატარია. მული აგრაფინა, რძლები: ნუნუ, აზა, ოფელია, მაია. ქსენია, ნელი. შურა, სიძეები ამირან ქვარაია, დავით ქირია, დეიდაშვილები: ლუშა, ნელიკო კვარაცხელიები. ბიძაშვილები: ლინა. ვალია, ... ვლადიმერ ლუკავები, თამარა, არველოდ ლატარიები, მზახლები მანია ხუფაცარია ლუშა ქვარაია. თინიკო დანელია. ანტისა ქარჩაია. ახლო ნათესავები იუწყებიან

**ნორა მიხეილის ასულ ლატარია-ფაცაციას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 27. 28. 29 მარტს. დაკრძალვა 30 მარტს. გამოსვენება ქ. ზუგდიდი თამარ მეფის ქ. 93. (ინ.).

---

შვილები: დინარა, გურამი ღურწკაიები, დები: ოლია გიგინეიშვილი, ნათელა ჯაფარიძე, რძლები: ლუარა გერგაია, შორენა გუგუჩია, მაია ყუფუნია, შვილიშვილები: ნანა, ლია ჯანაშიები, ომარი, ლაშა ღურწკაიები, მზიური ცაავა ოჯახით, დისწულები ლაურა, ნათელა, აზა, კობა გიგინეიშვილები, გულნაზი, აზა, ლალი, დათო ჯაფარიძეები, სიძეები ირაკლი ჩიქავა, ელგუჯა ჯოლოხავა, რუბენ ხვარძიკია, ნუგზარ ხარგელია, ტრისტან ხუფენია, მაზლიშვილები, მულიშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**თამარა ზაქარიას ასულ ქარდავა-ღურწკაია.**

პანაშვიდი 27, 28, 29 მარტს 6 საათზე. დაკრძალვა 30 მარტს 4 საათზე, გამოსვენება ქ. ზუგდიდი, გ. ჭყონდიდელის 36.

---

მეუღლე კლარა. შვილი რუსუდანი. შვილიშვილები ნათია. დათო. დები: ნათელა. ციცა. ვარდო. ძმები ჭიჭიკო. შანდური. რძლები ლატუშა გულუა, ლუბინა მაქაცარია, სიძეები მამუკა კვარაცხელია, კარლო ლაგვილავა, რაჟდენ გუგუჩია, გივი აკობია, ზაურ ქარცხია, მამიდა გუგუ, ცოლისდები: მადონა, ირა ფიფიები, ქვისლი კოტე ზარანდია, მზახლი მერი. დავითი კვარაცხელიები, დისშვილები, ძმისშვილები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები და ახლო ნათესავები ოჯახებით იუწყებიან

**აკაკი (კაკო) ალექსანდრეს ძე ბერულავას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 27, 28, 29 მარტს. დაკრძალვა 30 მარტს. გამოსვენება 17 საათზე, ინგირის მეურნეობის ახალი დასახლება, ვაჟა-ფშაველას ქუჩა 14.

---

რედაქტორი
აკ. ჭანტურია.

---

მეუღლე ნორა. შვილები ვანია, ლონია. შვილიშვილები ლენა. საშა. დები თამაშ. თუნიაშა. მედიკო, გული. ცი ... თა მერი ვიკუა, ძმები: იანი ძირა. ორლენი. სიძეები: ამირან კიფიანი, დემურ აკობია. რძლები: ტანია, ლონდა, ლუარა, დიიდა თედორსია ბოხუა, ბიძა ლადი ბოხუა. ქვისლები: ნექი ვიკუა, კაკო ჯალაღონია, დისშვილები, ძმისშვილები, დეიდაშვილები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან

**ომეხ კაპიტონის ძე ფეტელავას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 27, 28. 29 მარტს. დაკრძალვა 30 მარტს. გამოსვენება ბინდელიანის ქუჩის პირველი შესახვევი №4-დან.

---

შვილები: რეზო, იგორი. დოდო. აბესალომი, გულადი, მურმანი. ნუნუ. დინარა. ლეილა. ძმები: ვლადიმერ მიქავა, ალექსენტი, ლუდა ბერაძეები, სიძეები: ყორა შონია, ენვერ თუზბაია, ხუშუტი ჯგუშია, რძლები: იამზე, რუსიკო, იამზე, ვალია. დინარა. ციცინო, გოგოლა, ლობა, მოკონა, მაზლები: პარმენ ქობალია, პოლუშა, არკადი ბულიები. მული ზაბუხა, შვილიშვილები, შვილთაშვილები, ძმისშვილები, ბიძაშვილები. მამიდაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

**თამარა კაჭის ასულ მიქავა-ბულიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 26. 27 მარტს. დაკრძალვა 28 მარტს კორცხელში (ბაში).

---

შვილები: ელგუჯა, სლავა, ნუგზარი. ზოია, ნუნუ. ნორა გულედანები, შვილიშვილები შუნანა, ნანა, ზაზა. დათო. კახა. მაია. მანანა, მადონა, კობა, ია, ირმა. ირაკლი. გია. ნინო. მამუკა, მარინა, ირმა, რიტა, მირზა, მარინე, მანუჩარი, ლულია, რძლები: იზოლდა ფირცხელანი, თამრიკო ფულარია, ლიანა ჟიბლიანი, სიძეები ლევან გუჯეჯიანი, დათო კვიციანი, შვილთაშვილები. ახლო ნათესავები იუწყებიან

**მარინე ვასილის ასულ გულედანის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 27, 28, 29 მარტს. დაკრძალვა 30 მარტს სოფელ რუხში. გამოსვენება მერაბ კოსტავას ქუჩა 39. (საჭკადუოს უბანი).

ინდექსი 66507 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი მერაბ კოსტავას ქ. № 52. ტელეფონები: რედაქტორის 2-24-80, რედაქტორის მოადგილის 2-33-69 პასუხისმგებელი მდივნის 2-81-96, სოფლის მეურნეობის განყოფილების 2-21-78 მშრომელთა წერილების 2-25-12, რაიონრედაქციის 2-47-00

საქ. ბეჭდვსახკომის ზუგდიდის სტამბა, მერაბ კოსტავას ქ. № 52, ტელეფონი 2-28-07 . ტირაჟი 8000 შეკ. №1077